რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Iვ. ამირალოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Iვ. ამირალოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ყოველ-დღიური გაზეთი

„დროება"

ხელის-მოწერა: თფილისში, რედაქციის კანტორაში (სერგიევის ქუჩაზე, Iვ. ამირალოვის სახლებში, № 8).

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба".*

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარის წლის—4 მან. და 50 კაპ., ოთხი თვის—3 მან.

პირველი აპრილიდამ პირველ ივლისამდინ გაზეთი ღირს—2 მან. და 50 კაპ., წლის დამლევამდინ—6 მანეთი.

ხვედრი ფული გაზეთის დაბარებისათანავე უნდა იქმნეს რედაქციაში გამოგზავნილი.

ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

სტამბოლი, 25 მარტს. სომხის პატრიარხმა სთხოვა ოსმალეთის პირველ მინისტრს, ჩერქეზებს სომხეთში ნუ გაგზავნითო.

რუსებმა საროსის წყლისაკენ გაგზავნეს ჯარები.

ლონდონი, 25 მარტს. სან-სტეფანოში შეკრულს მორიგების პირობას გარდა, რუსეთსა და ოსმალეთს შუა არავითარი სხვა პირობა და კავშირი არ არის შეკრული.

რომი, 24 მარტს. მინისტრების კრებას აღმოსავლეთის საქმეებზედ ჰქონდა სჯა; მომეტებული ნაწილი მინისტრების ჰაზრი ის იყო, რომ, თუ ვინიცობაა რუსეთსა და ინგლისს შუა ბრძოლა ატყდეს, იტალია არც ერთს მებრძოლს არ უნდა მოემხროსო (ნეიტრალიტეტი უნდა დაიჭიროსო).

ლონდონი, 26 მარტს. გაზეთი „Morning Post" ამბობს, რომ ამ უკანასკნელ დღეებში თითქო უფრო მომეტებული იმედი არის ინგლისისა და რუსეთის მორიგებისაო. მაგრამ ეს გაზეთი მაინც კიდევ თავის (ინგლისის) მმართებლობას ურჩევს, დაეხმაროს ოსმალეთს და ეცადოს, რომ რუსეთმა სტამბოლი არ დაიჭიროს თავის ჯარებით.

ბერლინი, 26 მარტს. გაზ. „პეტერბურლის უწყებებს" სწერენ: აქ ამბობენ, რომ რუსეთი დათანხმდებაო, რომ სან-სტეფანოს მორიგების პირობიდამ ზოგიერთი მუხლები დაუთმოს ინგლისსაო.

ბერლინი, 26 მარტს. „ახალ დროების" დეპეშა: ძალიან გაჯავრებული არიან აქ ავსტრიის პოლიტიკაზედ, რადგან ამბობენ, რომ ეს პოლიტიკა ფარისევლური და ორ-პირი პოლიტიკა არისო.

ვენა, 26 მარტს. „Голосъ"-ს სწერენ სტამბოლიდამ: სულთანი მომხრეა იმ პარტიისა, რომელსაც უნდა, რომ ოსმალეთი და რუსეთი მეგობრული კავშირით იყვნენ შეკრულნი; თუ არ ასე, სულთანის ჰაზრით, ოსმალეთი არც ერთ მებრძოლ მხარეს არ უნდა მიეკედლოს. მაგრამ ხონთქრის ჰაზრს ახლა ყურადღებას არ აქცევენ; ამბობენ, გადაწყვეტილი არისო, რომ ეს ახლანდელი ხონთქარი ჩამოაგდონ ტახტიდამ, თუ ვინიცობაა რუსეთსა და ინგლისს შუა ომი მოხდა და ის არ მოინდომებს, რომ ინგლისს მიემხროსო.

პეტერბურლი, 27 მარტს. დღეს თერთმეტი საათის ნახევარზე მოვიდა აქ დიდი მთავარი კავკასიის ნამესტნიკი თავის ოჯახით. რკინის გზის სტანციაზე იმას დახვდა ხელმწიფე იმპერატორი თავის სახლობით, ბევრი ღენერლები და უანგარიშო ხალხი, რომელიც დაუბოლოვებელი „ურას" ყვირილით მიეგებე დიდ მთავარს. საპატიო ყარაულად დანიშნული იყო გვარდიის არტილლერიისა და ქვევითა ჯარის როტა მუზიკითა და ბაირაღით. დღეს მშვენიერი ტაროსია აქ.

პეტერბურლის ბირჟა, 25 მარტს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

	მან.	კაპ.
ლონდონი —	23¹/₈	„ „
ამსტერდამი—	117	„ „
ჰამბურგი— —	197	„ „
პარიჟი — —	243	„ „
შინაგანი სესხის ბილეთები 5%:		
პირველი სესხის — —	223	25
მეორე სესხის — — —	222	„
ბანკის ბილეთები:		
პირველი გამოცემის —	95	„
მეორესი — — — —	94	75
მესამესი — — — —	94	75
მეოთხესი — — — —	94	75
აღმოსავლეთის — —	93	„
ოქრო, ¹/₂ იმპერიალი—	8	51

საქართველო

დღიური

*** გასულ კვირას, 26 მარტს პირველათ სწირა და იქადაგა ახლად დანიშნულმა საქართველოს ეგზარხოსმა Iოანნიკიმ სიონის სობოროში.

*** მგონი, ჩვენი გუბერნიის არცერთ კუთხეში არ მიდის ისე ცუდათ ხალხის განათლების საქმე, როგორც თფილისის ახლო-მახლო სოფლებში. რამდენი სოფლები არტყია თფილისს არეშემო, ყველა ეს სოფლები, ამ ქალაქთან სიახლოვის წყალობით, საზოგადოთ მდიდარი სოფლებია; მაგრამ არსად კი ერთი უბრალო შკოლა არ არის გახსნილი. ხსენებული სოფლების პატარა ბიჭები, ცოტას წამოიზდებიან თუ არა, იმ წამსვე მამები მეხრეობაზე აყენებენ ან თითო ღერო ფიჩხს, ან ათიოდ კვერცხს, ან ორ კონა ტარხუნას გამოატანებენ ქალაქში, სადაც დილიდამ სალამომდინ დაეთრევიან, ერთ-ორ შაურისას გაჰყიდიან, ამასაც შესჭამენ და მერე თითქმის ისე ხელცარიელნი ბრუნდებიან შინ...

*** Iმ გასაოცარი ქარის შემდეგ, რომელიც გასული კვირის სამი დღის განმავალობაში ჰქროდა, ახლა ჩინებული წყნარი, თბილი დღეები დადგა. ამ სითბოს წყალობით დნება უეჭველია მთებში თოვლი და ამის გამო ამჟამად მტკვარი ძალიან ადიდებული და მღვრიეა.

*** გაზეთს „მშაკში" ალექსანდრაპოლიდამ იწერებიან, რომ ომიანობის დროს აქ ფუთი ფქვილი ორ მანეთად და სამ-ოთხ აბაზათ ისყიდებოდაო, და ახლა კი იმ ფასად ისყიდება, როგორც თქვენს ქალაქშიო, ე. ი. შვიდ-რვა აბაზათაო.

*** თამბაქოს მწეველნი უჩივიან, რომ მეთამბაქოებმა ამ უკანასკნელ დროს ერთობ გააფუჭეს თამბაქო და პაპიროსებიო; იმ თამბაქოს, რომელშიაც ადრე ქირვანქაში ორ მანეთს ვაძლევდით, ახლა სამ მანეთ ნაკლებ ვერ ვშოულობთ და ისიც თითქო ბალახ-ნარევი და უგემურიაო.

უეჭველია, რომ, თუ ომი გამოცხად-

და და ზღვა შეიკრა, თამბაქო მაშინ ერთი-ორად, ერთი-სამად გახდება; მაშინ ჩვენებურ თამბაქოს დაიდება პატივი. უბედურება ეს არის, რომ, თუმცა ჩვენში ჩინებული ნიადაგი და ჰავა არის თამბაქოს მოყვანისათვის, მაგრამ ამ წარმოებამ მაინც რიგიანათ ვერ მოიდგა ფეხი, ბევრი არ მოჰყავთ და რაც მოჰყავთ, არც ის არის ხეირიანი. მხოლოდ ზურიის თამბაქო კი ისეთი კარგია, რომ კარგ ოსმალოს თამბაქოს ბევრიდ არ ჩამორჩება უკან. მაგრამ ამ საქმეში, როგორც ყველაფერში, ჩვენ უფულობა და უცოდინარობა გვაბრკოლებს, ამიტომ ეს წარმოება ჩვენში მაგრე რიგათ არ ვრცელდება.

*** ჩვენ მივიღეთ სამტრედიიდამ შემდეგი შენიშნვა:

„თქვენ პატივცემულ გაზეთში (№ 45) დაბეჭდილია შენიშვნა სამტრედიის კორრესპონდენტისა, რომელიც ამბობს სხვათა შორის, რომ ძველ-სენაკის მახლობლად სოფელს ბეჯეთში ერთი მიცვალებულის დასაფლავებაზედ ვიყავით და აქ შევიტყეთ, რომ ამ სოფლის ხალხს ჩვეულებად არა აქვთ, რომ მიცვალებული გაბანონ და ისთე დაასაფლავონო.

„დიდათ მიკვირს ვისგან გაიგონა ამისთანა ჭორი. მე უფრო უნდა ვიცოდე, ვინემ ახალ მოსულ სტუმარ კაცმა სოფელი ბეჯეთის ამბავი, რადგან ჩემი სამშობლოა; მაგრამ ამოდენი კაცი გავზრდილვარ და არ შემიტყვია, რომ ჩვენს სოფელში მკვდარს დაუბანელად ასაფლავებდნენ არა თუ ბეჯეთში, არამედ სრულიად სამეგრელოში.

„აგრეთვე სწერს, ადგილობრივმა მღვდელმა მითხრაო, ბევრი უქადაგე სოფლელებს, რომ გაბანონ მიცვალებული და ისთე დაასაფლაონო, მაგრამ არ დამიჯერესო. მე იშვიათათ მინახავს იმისთანა კაცი ჩვენში, რომ მამა მოძღვრის დარიგება არ დაიჯეროს და არ აღასრულოს; მაგრამ საუბედუროთ, იმისთანა მამა-მღვდლები იშვიათია ჩვენში-რომ ხალხს რაიმე უქადაგოს და ასწავლოს წინ წასაწევი მათი და ურთი-ერთ შორის კეთილ თვისებისა და სიყვარულისა; იმას უფრო ფიქრობენ, რომ დრამის ფული დაჩქარებით ამოიგონ და სხვ.“

„დროების“ კორრესპონდენცია

ხონი, 21 მარტს (გაგრძელება). მეორე ამათგანი **ხ ა რ ა ზ ი შ ვ ი ლ ი** გახლდათ: ამ რამოდენიმე წლის წინათ საკმაო სერმიით ვაჭრობდა. ბარდა საქონლისა ჰქონდა საწვრიმალო, რომელშიაც რაღაც ახირებული, სოფელში ''სახმარი, წამლები ერია.

ეს საპატიო პირი თავის დაუდევრობით გაკოტრდა და გაკოტრებისათანავე გადიქცა ექიმათ! ხალხმა რომ ამის ექიმობა გაიგო, ბლომათ დაუწყეს ზიდვა მისს წამლებს—იმ ფიქრით, რომ რადგან ის უწინ წამლებს ყიდდა, უთუოდ კარგი ექიმობა ეცოდინებაო! სხვა გარემოებასთან ამას ძალიან დიდ სარგებლობას უჩენდა თავისი მოყვანილობა: მოგეხსენებათ, ჩვენ დაბალ ხალხში ვისაც მსხვილი თავი და დიდი მუცელი აქვს, ჭკუის კოლოფი და და სწავლის ჭურჭელი ჰგონიათ ... ამ მხრით საკმაოდ გახლავს უ. ექიმი ხარაზისშვილი ბუნებისაგან დაჯილდოებული.

გასაკვირველი ერთი გარემოებაა ამ პირის შესახებ: ეს დგას ძლიერ გამოსაჩენს ელაგს—**ხონის** მაიდნის თავში, ეკკლესიის გვერდით, სადაც ხშირათ იკრიბებიან **ხონის** უფრო გონიერი საზოგადოების პირნი, რომელნიც ნათლად ხედვენ და ხედავდნენ განსაკუთრებით წარსულს უბედურს წელს, რომ ხალხი ბლომათ ეზიდება ამ **ხარაზისშვილის** საწამლავ წამლებს.

მესამე ამათგანი—პ უ ჭ ა ვ ა უხსოვარის დროიდამ გახლავსთ ექიმი და თან გამოჩენილი მარჩიელი.

ვინ იცის—რამოდენი ადამიანი უმსხვერპლნია ამ პირს თავის აქიმობით?! ვინ იცის რამოდენი გაულატაკებია თავისი წინასწარმეტყველებით?! ვინ ჩამოთვლის იმას—არმდენისათვის სახლი აუყრევინებია?!

ყველა ამ ზევით მოხსენებულმა გარემოებამ მომაგონა ერთი ჭეშმარიტი შემთხვევა, რომლის მოწმეთაც მე თითონ ვიყავ; თუმცალა ყმაწვილი ვიყავ იმ დროს, მაგრა ისე კარგათ მახსოვს, როგორაღაც ერთი ჩემი ძველი მასწავლებლის როზგი, და ამისთვის ამ შემთხვევას აქვე მოვიყვან.

ერთხელ მე ვიყავი ერთ ჩემ ნათესავთან, რომელსაც იმ დროს ყავდა ავათმყოფი შვილი. ერთ საღამოს, ჩვეულებისამებრ შეიკრიბნენ ჩემის ნათესავისას მეზობლები სანახავათ, რომელთაც რჩევა მისცეს ჩემ ნათესავს, რომ დაეკითხოს თავის შვილს სნეულებაზედ გამოჩენილ წინასწარმეტყველს პუჭავას. ჩემი ნათესავი დაერწმუნა ამ რჩევას და იმავე წამს აფრინა ცხენი და კაცი ექიმბაშ-წინასწარმეტყველთან.

შემდეგ საკმაო ლოდინისა ის მობრძანდა; შამობრძანდა სახლში, და დაბრძანდა. რამოდენიმე ხნის ბრძნულად გაჩუმების შემდეგ, მოიკითხა ჩემი ნათესავი მეუღლით და დაჩუმდა. ამ დროს ისეთის სიჩუმით ვიყავით ყველანი იქ მყოფნი შეცულნი, თითქო მხსნელი სოფლისა იყო ჩვენ შორის! ჩემმა ნათესავმა დიდხანს ვერ მოითმინა სიჩუმე და კრძალვით და მორიდებით შეახსენა ექიმბაშს მიზეზი მოწოდებისა და დაუწყო მოხსენება საქმის გარემოებისა. წინასწარმეტყველმა მოისმინა საქმის გარემოება; შემდეგ ჩაიყო მძიმედ ჯიბეში ხელი და ამოიღო ხელსახოცში გახვეული კარტი. გააფინა ხელსახოცი, გაშალა ზედ კარტი და მოყვა თავის წინასწარმეტყველებას ამ სიტყვებით:

„ოჰ, რო იცოდე, რა რიგათ მებრალები! ეს რა არის? აქ კიდევ მალე გახდება ავათ ვინმე—ოთხი ისეთი დამაბრკოლებელი მიზეზია!“

ამ სიტყვებმა თავს-ზარი დასცეს საცოდავ ჩემ ნათესავს და სრულიად სმენად

ფელტონი

მგზავრის შენიშვნები

(სამტრედიიდამ ოზურგეთამდინ)

მშვენიერი დილა იყო, როდესაც გავედით სამტრედიის სტანციიდამ ორპირისაკენ.

ყველაფერს ვათვალიერებდი. ჩემი მოგზაურობა სამტრედიიდამ ოზურგეთისაკენ პირველი იყო და ყველა საგანს ჩემზე რასაც შევხედავდი და გავიგონებდი, დიდი შთაბეჭდილება ჰქონდა.

ჰაი დაგმართოს ღმერთმა, კარგი გზა ჩვენ სამტრედიიდაგნ ორპირამდისინ გვქონდა...

აი ორპირიცა. ამისთანაჳ გაბინძურებული, დაუწმინდურებული ალაქის ნახვაც სწორეთ პირველი იყო ჩემს სიცოცხლეში!.. არაფერი არ არის მოსაწონი და ყურადღების ღირსი გარდა ნავებზე მოწყობილის ხიდისა

ორპირიდამ გავიარეთ ერთი-ორი ვერსი და შევუდგით ერთ პატარა მთას.

ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს ამისთანა ტალახიანი და გაფუჭებული გზა. აგერ ცხენია წაქცეული და ფართხალობს ტალახში; აგერ ექვსი უღელი ხარ-კამბეჩი ებია ერთ ურემს, რომელზედაც პრავიანტის ტომრები აწყვია და ძლივს მიათრევენ ტალახში. აგერ ხარები, რომ დადგომია საწყალ გლეხს, თვითონ მოუვიდა ტომრები და გააქვს უმჯობეს გზამდისინ. თან გზას და მის გამკეთებელს უკურთხებს გამწარებული გულით. ისე გამწარებულია საწყალი, რომ თავის ხარებს პატრონსაც არ სტოვებს უგინებლად. იამშჩიკი გვეუბნება:

— თუ უკაცრავათ არ ვიქნები, ბატონო, ჩამობრძანდით, იმ გორებზე იქნება გამოიმშრალოთ, თორემ ტალახში გაისვრებით, ვერც ცხენები ამოვლენ ტალახიდამ.

მეტი ღონე არ არის, მინდორ-მინდორ ტყიან ადგილებში გავყევით ერთ პატარა გზა-წვრილს და ავედით ხევისწყლის გორაზე.

სანამ ჩვენი იამშჩიკი ამოვიდოდა, მე მოვიხედე უკან და დავხედე ორპირიდამ მოკიდებულს ადგილებს. მაშინ წარმომიდგა თვალწინ ის მშვენიერი სამზღვარ-გარეთი ადგილები, რომელნიც პანორამაში დამინახავს ხოლმე; მაგრამ სად ისინი და სად ამ ადგილების დახედვა! იქ ხედავ ქაღალდზე დახატულს და აქ ნამდვილ ბუნებას!.....

მაგრამ, რომ წარმოვიდგინე ჩვენი ამ ადგილებში მცხოვრებლების ზნეობითი და მატერიალური მდგომარეობა, ყველა ტკბილი გრძნობა გამიმწარდა. რამოდენიც მიუახლოვდი სტანციას, უა-

გადაქცეულმა მიაპყრო ყური შემდეგ სიტყვებს წინასწარმეტყველისას:

„პირველი და უპირველესი მიზეზი არის ის, რომ ეს სახლი ძლიერ ცუდს ალაგას დგანა, უწინ წმინდანიანის ნაჯდომი ყოფილა და სანამდის ეს ამ ალაგას იდგომილება, თქვენი გახარება არ იქნება. მეორე—თქვენს მეზობელს აქ თქვენს ეზოში „შეკრულობის წამალი“ დაუმარხავს და სანამდის ეს არ მოინახება და ამოილება, ძრიელ გავნებთ. მესამე—ერთი ბებერი დედაკაცი, რომელიც მახლობლად გისახლობსთ, გემდურის და კიდევაც გადაუციხართ (*),—და მეოთხე—მოძლევარი გემდურის.

ნუ ბრძანებთ! მართლაც ფაქტებით არ დაგვიმტკიცა ეს მისი წინასწარმეტყველობა, გარდა პირველისა და უკანასკნელისა! აი რა ნაირათ:

ჩემს ნათესავს და მის მეზობელს შური ჰქონდათ ერთმანეთში; მეზობელი მიქცეულიყო ამ მარჩიელთან და ეთხოვნა, რომ ამა-და-ამ კაცთან უკმაყოფილება მაქვს და მავნებინე რამე და ფულზედ ნუ დამზოგავო. ამას მოემზადებინა შეკრულობის წამალი და დაემარხა ჩემი ნათესავის ეზოში!

ამ ნაირათ, რასაკვირველია, თავისი დამარხული ნივთის მონახვა არ გაუჭირდებოდა: წაიყვანა ჩემი ნათესავი მეუღლით და მე რადგან პატარა ვიყავ, არას დამდიეს და სანთელი წამალებინეს, თორემ სხვა არავინ; მიგვიყვანა ერთ ალაგას, დაკლა ბარი და ამოაგდო რაღაცა ჩვარში, გაკრული; წამოიღო სახლში და გახსნა. რა არ იყო ამ ჩვარში? ქაცის ბრჩხილი, თმა, ცხენის ფოლო, ცხენის ძუა, სხვა-და-სხვა ფერი ნაჭრები და სხვა; ზევიდამ ჰქონდა დადებული წმინდა სანთლისაგან გაკეთებული ჯვარი. ჩემი ნათესავი ამის დანახვით ენა ჩავარდნილი შესცქეროდა ქუჭავას თვალებში თითქო სურდა თავისი ბედის წერა ამოეკითხა...

მესამე მისი წინასწარმეტყველობაც მართალი გამოდგა, ესე იგი დედაბრისგნით გადაცემა. ესეც აი რა რიგ სცოდნოდა ჩვენს წინასწარმეტყველს.

ამ დედაბერს, სანამ შვილი გაუხდებოდა ავათ ჩემ ნათესავებს, თურმე ღორი მოუკლა; ამისთვის დედაბერს მართლა გარდაეცა. როდესაც შვილი გაუხდა ავათ ჩემ ნათესავს, დედაბერმა იფიქრა თურმე, რომ ესენი უთუოდ დაეკითხებიან ქუჭავასო და მიაშურა მასთან და სთხოვა, რომ ამა-და-ამ კაცმა ღორი მომიკლა და მე გადავეცი; ეხლა შვილი ჰყავს ძრიელ ავათ; ვინ იცის იქნება დაგეკითხონ, მიზეზი უთხარი ჩემი გადაცემა და თან ისეც დაუმატე თუ მე არ გამირიგდება, არა გეშველებათ-თქო. და ამ ნაირათ რასაც გარიგებაში ღორის ფასზედ მეტს ავიღებ, იმას ნახევარს შენ მოგართმევო! რა საკვირველია, რომ ეს გარემოება სამხიარულოდ დარჩა უ. ქუჭავასთვის.

(გაგრძელება)

*) ეს ჩვეულება „გარდაცემა“—თითქმის დღესაც არის დარჩენილი მთელ იმერეთ-სამეგრელოში. მომეტებულად ამ საშვალებას ხმარობენ ულონო დედაკაცები, რომლისაც ჩვენში დაბალ ხალხს ძლიერ ეშინიან.

გარდაცემა ხდება ამ ნაირათ: ილებს დედაკაცი ლურსმანს, მიდის ეკკლესიაზედ, და ასვამს ეკკლესიის კარზედ ამ სიტყვებით: „ღმერთო, როგორც ეს ლურსმანი მე მივასვი შენს ეკკლესიის კარს, ისრე მიასვი შენი ლახვარი გულზედ, ვინც მე დამაკლო, ანუ მაწყენინა, და მანამდის ნუ აუშვებ, სანამდისინ მე ჩემი დანაკლისი არ დამიბრუნოს და შენს ტაძარს ერთი იმდენი არ შემოსწიროს.“

ომის ამბები

ომის შემდეგ

ერთი ნემეცური გაზეთის კორრესპონდენტი იწერება ლონდონიდამ, რომ ინგლისს ამჟამად 80,000 კაცი რეგულიარული ჯარი ყველაფრით დაიარაღებული და ლაშკარში წასასვლელად დამზადებული ჰყავსო. ამას გარდა მზათა ყავს აგრეთვე 20,000 კარგათ გაწვრთნილი მილიცია. ასე რომ დღეს რომ ომი გამოცხადდეს, ხვალ 100,000 კაცის გამოყვანა შეუძლია ინგლისს ბრძოლის ველზედ.

—

გაზეთს „Indép. Bege“-ს სწერენ ლონდონიდამვე, რომ თავის ზღვის ნაპირა ქალაქების დასაცველად ინგლისს აქვს რამდენიმე ათი უზარმაზარი ზარბაზანი, რომელთაც თითოეულის სროლის სიმძიმე ორი ათასი გირვანქა არისო და ეს თითო სროლა 440 გირვანქა წამალს თხოულობსო. თითო ამისთანა ზარბაზანი, კორრესპონდენტის სიტყვით, ინგლისის მთავრობას ასი-ათას მანეთად დაჯდომია.

—

ვენის კორრესპონდენტი ფრანცუზული გაზეთის „Le Temps“-ისა ყოფილა ღენ. იგნატიევთან, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, ვენაშია ამჟამად რუსის მმართებლობისაგან ავსტრიის იმპერატორთან მოსალაპარაკებლად. კორრესპონდეტი ამბობს, ღენ. იგნატიევმა მითხრაო, რომ ჩემი გამოგზავნის მიზანი ის არისო, რომ ავსტრიას აუხსნა სან-სტეფანოს მორიგების მუხლები და თუ საჭირო იქნება, თუ ავსტრია მოითხოვს, შევცვალო ზოგიერთი ამ მუხლებთაგანი.

„ცხადათ სჩანსო, ამბობს ხსენებული კორრესპონდენტი, რომ რუსეთს ძალიან სურს თავისკენ მიიმხროს ავსტრია და ამ ნაირად მოაშოროს ის ინგლისს. მაგრამ ღენ. იგნატიევს ჰყავს აქ მოწინააღმდეგეთ ისეთი დახელოვნებული დიპლომატი, როგორც ინგლისის ელჩი ჰენრი ელიოტი, რომელიც თავის მხრით ცდილობს, რომ ავსტრია დააკავშიროს ინგლისთან და მოაშოროს რუსეთს.

„ჯერ კაცმა არ იცის—ვინ დასძლევს ამ ორში და ვის მოემხრობა ავსტრია—რუსეთს და ინგლისს. ეს კი ცხადია, რომ, თუ ავსტრია ინგლისს არ მოემხრო და ნეიტრალიტეტი დაიჭირა, რუ-

---

რესი გზები შეგვხვდა. ოკ საქენს ვერ გაივლი ისე, რომ პრავიანტის მზიდველები არ შეგხვდეს ურმებით და ან ცხენებით.

— რას გაძლევენ ფუთზე ქირას? ვკითხე ერთ გლეხს. ამოიხვნეშა და მითხრა:

— ზოგს ექვს შაურს, ზოგს ორ აბაზს და ზოგს ათ შაურს; მაგრამ მეტს არავის.

ეხლა წარმოიდგინეთ რამდენია დადებული თითო ფუთზე ქირა და რამდენი რჩებათ პოდრადჩიკებს და სხვა-და-სხვა მოსამსახურე პირებს, და გაიგებთ კარგათ—თუ ვინ მოიგო ამ ომით!... ორი საქმე მაკვირვებს ინტენდატის ჩინოვნიკებისა და მოსამართლე პირების ამ პრავიანტის ზიდვის თაობაზედ ქუთაისიდამ ოზურგეთში და ვერ ამიხსნია დღემდისინ: გამოუცხადეს თუ არა, რომ პრავიანტია საზიდავი ოზურგეთშიო, დაესიენ ცხენიანი კაცები აუარებელი. თვითეულს ცხენს და კაცს თვეში აძლევდენ ოცდა ხუთ მანეთადმდე იმ აირობით, რომ დადებული წონა პურისა გადაეტანათ. რამდენი იყო თურმე მთხოვნელი რომ მაგრე ცოტასთვის ერ წავალ ოზურგეთში, მეტს წავიღებთო; მაგრამ მეტს არავის არ აძლევდნენ. მიკვირს—ერთი თვის საზიდავ პრავიანტს თუ კაცი ორ კვირეში გადაიტანდ, უფრო სასარგებლო არ იყო მმართებლობისათვის? ბოლოს იყიდეს ხაზინის ფულებით ცხენები და კარგი ფასიც მისცეს. ამ ცხენებით, რასაკვირველია, ბევრს პრავიანტს გადაიტანდნენ, მაგრამ ეს მშვენიერი ცხენები გლახა, მკვდარ ცხენებზე დაცვალეს და სათავიც კარგი აიღეს. ეს ცუდი ცხენები, როგორც ამბობენ, მალეც დაიხოცნენო... ვერ გამიგია დღესაც—ეს კარგი ცხენები რატო დაცვალეს ცუდებზე? .

მართლა რომ პოდრიადჩიკობას არა ჯობნებია რა ეხლა, მე და ჩემმა ღმერთმა! ერთს მოსამსახურე პირს ოტპუსკით დათხოვნა უთხოვნია ავათმყოფობისა გამო. პოდრიადი აუღია პრავიანტის გადატანაზე და ცოტა ხანში, როგორც ნამდვილად ამბობენ, 36,000 მანეთი მოუგიაო....

ამ გზის გასაკეთებლად დიდი ფული ყოფილა დანიშნული, მაგრამ გზას არა ეტყობა-რა. დიდი საჩივარი და მიწერ-მოწერაც ყოფილა ამ ფულების დახარჯვის თაობაზედ ერთის ინჟინერისაგან... ნერს შუა. არ ვიცი—რომელია ეს ინჟინერი. ამბობენ, ის ინჟინერია, რომელმანც ქუთაისში დიდი ქვითკირის სახლების აშენება დაიწყოო...

(დასასრული შემდეგში)

სეთი თითქმის ყველაფერს დაუთმობს იმას, რასაც სთხოვს. ამ შემთხვევაში რუსეთი და ინგლისი დარჩებიან ერთმანეთის მოპირდაპირედ.“

—

ამავე გაზეთის მოწინავე სტატიაში მოყვანილია, რომ როგორც ჩვენ ნამდვილი წყაროდამ შევიტყეთო, საფრანგეთი უფრო ინგლისის მხარეს დაიჭერს, ვინედ რუსეთისასო.

საფრანგეთმა თავიდამვე გამოაცხადა რომ ის მხოლოთ მაშინ მიიღებს კონგრესში მონაწილეობას, თუ იმაზე დაესწრებიან ყველა წარმომადგენლები ევროპის ექვსივე უმთავრესი სახელმწიფოებისა და რადგან ინგლისი არ დაესწრება, მაშა სადმე არც საფრანგეთი მიიღებს. მონაწილეობასაო.

ერთი სიტყვით, ყველა ცნობები, რომელნიც კი ამ უკანასკნელ დღეებში მოგვდის, გვარწმუნებენ, რომ კონგრესი ბერლინში არ შესდგება. ამიტომაც რუსული გაზეთები ამბობენ ახლა, რომ ჩვენსა და ოსმალეთს შუა მორიგების პირობის დასამტკიცებელად კონგრესსი სრულებით საჭირო არ არისო, საკმაო არისო მხოლოთ, რომ რუსეთის, ბერმანიისა და ავსტრიის წარმომადგენლები შეიკრიბონ ბერლინში და დასდვან თავისი განჩინებაო..

—

„პოლიტიკურს კორრესპოდენციაში“ დაბეჭდილია სტამბოლიდამ 14 მარტს მიღებული შემდეგი დეპეშა:

„დ. მ. ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძე მოვიდა აქ და ხონთქრის ნავით წავიდა დოლმა-ბაღჩეს სასახლეში, სადაც სულთანი უცდიდა. სულთანმა დიდის პატივის ცემით მიიღო დიდი მთავარი და ერთი საათი დაჰყო იმასთან. შემდეგ დიდი მთავარი თავის ამალით წაბრძანდა ბელლერბელში აქ ცოტა ხანს შემდეგ სულთანმა გადაუხადა იმას ვიზიტი.“

—

ლონდონის გაზეთს „Times“-ში დაბეჭდილია პეტერბურღიდამ გაგზავნილი კორრესპონდენცია, რომლის ავტორი იწერება, რომ რუსეთსა და ოსმალეთს შუა, როგორც მე ნამდვილად შევიტყე, არავითარი საიდუმლო კავშირი და პირობა არ არის შეკრულიო.

—

ამავე გაზეთის სიტყვით, რუსეთს დიდ ძალი თოფ-იარაღი და ტყვია წამალი უყიდნია ამერიკაში; ამ მოკლე ხანში ნიუ-იორკის ნავსადგურიდამ ორი ხომალდი გამოვაო, რომელთაც ეს სამხედრო მასალები მოაქვთ რუსეთისთვისო.

—

გაზეთს „ახალ-დროებას“ სწერენ ბერლინიდამ:

„აქ ამბობენ, რომ, თუ ვინიცობაა რუსეთსა და ინგლისს შუა ბრძოლა ატყდა, ჩრდილოეთ-ამერიკის შტატების მმართველობა წინადადებას მისცემს ქანადას და სხვა იქაური ინგლისის კოლონიებს, რომ ამერიკის რესპუბლიკას შეუერთდნენ.“

განცხადებანი

ბარდაიცემა ორი კვარტირა ძალიან იაფად, ვორონცოვის ქუჩაზე, მტკვრის ნაპირას; ერთი კვარტირა 7 ოთახიანია და მეორე 27 ოთახიანი, დიდის ეზოთი, სარაით და სხვა საოჯახო კუთვნილებით.

უფრო დაწვრილებით პირობების შეტყობა ვორონცოვის წყლის-პირა ქუჩაზე, ნეიმანის სახლში, იკითხეთ ივანე ანტონის ძე ზემბერგი, ყოველ დღე 12 საათიდამ 5-მდინ.

(3—2)

ნერსესის სასულიერო სომეხთა სემინარიაში პოპეჩიტელთა სალაპარაკო ზალაში მომავალი აპრილის თვის 5-სა, საღამოს 7 საათზედ, იქნება ტრაგი (უპერეტორჟკოდ) „ბარბერ“ მისაცემად თელეთის წმინდა გიორგის ღამის-მთეველთა გალავანში რომ იპოვება დუქანი თავის ერთი ოთახით.

შეკრულების წერილის (кондиція) მსურველნი შეიძლებენ წაკითხვას პოპეჩიტელთა კანცელარიაში ყოველ დღე, ხოლო კვირაობით და ბედნიერ დღეების გარდა, დილის 10 საათიდგან 12 საათამდინ.

(3—2)

ახალი წიგნი

„ᲪᲝᲚᲘ ᲗᲣ ᲒᲘᲜᲓᲐᲗ, ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ!“

ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი

ᲕᲐᲡᲘᲚᲘ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡᲐ

ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ: ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ—ᲕᲐᲠᲗᲐᲜᲝᲕᲘᲡ წიგნის მაღაზიაში.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ—ᲐᲜᲢ. ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲘᲡ ბიბლიოთეკაში.

(5—2)

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ
ᲐᲜᲢᲝᲜ ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐᲨᲘ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ:

1) ᲓᲔᲓᲐ ᲔᲜᲐ, Ი ᲒᲝᲒᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ, ფასი 45
2) ᲐᲜᲣᲙᲐ ᲒᲐᲢᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ისტორიული მოთხრობა ბრ. რჩელოვისა ფასი 20 კ.
3) ᲪᲝᲚᲘ ᲕᲘᲢᲘᲠᲝ, ᲗᲣ ᲤᲣᲚᲘ? კომედია ალ. თუთაევისა, ფასი 30 კაპ.
4) ᲕᲔᲤᲮᲕᲘᲡ ᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲘ, ზოთა რუსთველისა, ფასი 50 კაპ.
5) ᲛᲔᲤᲔ ᲚᲘᲠᲘ, დრამმა შექსპირისა, ფასი 60 კაპ.

და აგრეთვე სხვა ყოველგვარი ქართული და სახელმძღვანელო რუსული წიგნები კარტები, ატლასები, სურათები და სხვ.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი . .	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ᲣᲕᲘᲠᲘᲚᲐ .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
ᲐᲮ.-ᲡᲔᲜᲐᲙᲘ .	—	—			8	57	4	76
ᲨᲝᲗᲘ. . .	9	40			9	75	5	42
ᲨᲝᲗᲘ . .	9	13						
ᲐᲮ.-ᲡᲔᲜᲐᲙᲘ.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ᲣᲕᲘᲠᲘᲚᲐ. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ

	Მ.	ᲙᲐ�პ
ᲝᲪᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ:		
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲡ, ᲨᲝᲗᲡ . .	1	—
ᲑᲝᲠᲡ, ᲓᲣᲨᲔᲗᲡ, ᲡᲘᲦᲜᲐᲚᲡ	-	50
ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲡ, ᲞᲔᲓᲡᲐᲡ, ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲡ	2	—
ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲡ, ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐᲡ . .	2	—
ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲨᲘ, ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐᲨᲘ	3	—
ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ.	3	50
ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ	3	75

ᲤᲝᲡᲢᲐ

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ᲝᲖᲣᲠ.—პარასკ. და ორშ. ᲥᲐᲔᲗᲡ—სამშ. და შაბ. ბ) ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲛ: თფილისისა და ᲨᲝᲗᲘᲡᲐᲙᲔᲜ—ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, კვირას გარდა. ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲡ—ᲝᲠᲨ. და პარასკ.

ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲒᲐᲒᲖᲐᲒᲜᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲒᲐᲠᲔᲗ:		ᲙᲐᲞ.
ᲚᲘᲐ ᲬᲘᲗᲘᲡ		4
ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲡ (ᲡᲐᲛᲘ ᲛᲘᲡᲮᲐᲚᲘ) .		8

ᲛᲐᲖᲐᲜᲓᲐ

	ᲛᲐᲜ	ᲙᲐᲞ
ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ, 23 ᲛᲐᲠᲢᲘ.		
ᲤᲥᲕ. ᲗᲝᲗ. ᲑᲐᲜᲯᲘᲡᲐ, ᲤᲣᲗ.	1	70
ᲤᲥᲕᲘᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ . .	1	50
ᲥᲔᲠᲘ ᲤᲣᲗᲘ . . .	1	40
ᲑᲐᲛᲑᲐ ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡᲐ, ᲤᲣᲗᲘ .	7	50
—ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲐ, ᲤᲣᲗᲘ . .	8	05
ᲑᲐᲠᲬᲔᲜᲢᲘᲚᲘ ᲑᲐᲛᲑᲐ ᲤᲣᲗ.	10	—
ᲛᲐᲢᲧᲚᲘ ᲗᲣᲨᲣᲠᲘ ᲤᲣᲗ.	8	20
—ᲗᲐᲠᲐᲥᲐᲛᲘᲡᲐ ᲤᲣᲗ. .	4	50
ᲐᲑᲠᲣᲨᲣᲛᲘ ᲜᲣᲮᲣᲠᲘ ᲮᲢ.	2	—
ᲥᲜᲘ, ᲤᲣᲗᲘ. . .	6	50
ᲭᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘ ᲤᲣᲗᲘ.	8	—
ᲡᲢᲔᲤᲐᲠᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘ, ᲤᲣ.	12	80
ᲮᲝᲠᲪᲘ ᲫᲠᲝᲮᲘᲡᲐ, ᲚᲘᲗ.	1	8
—ᲪᲮᲕᲠᲘᲡᲐ, ᲚᲘᲗᲠᲝ. .	1	8
ᲡᲞᲘᲠᲢᲘ, ᲕᲔᲓᲠᲝ . .	5	20
ᲨᲐᲥᲐᲠᲘ, ᲑᲠᲝᲪ. ᲤᲣᲗᲘ .	8	—
—ᲤᲮᲕᲜᲘᲚᲘ ᲤᲣᲗᲘ . .	6	05
ᲣᲐᲕᲐ ᲒᲠᲒᲕᲐᲚᲘ, ᲒᲘᲠᲒ. .	—	70
ᲖᲔᲗᲘ ᲭᲣᲜᲯᲣᲗᲘᲡᲐ ᲤᲣᲗ.	12	—
ᲗᲐᲛᲑᲐᲥᲝ, ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲤᲣᲗᲘ	7	95

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

	ᲛᲐᲜ	ᲙᲐᲞ
ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡ ᲛᲐᲔᲓᲐᲜᲖᲔ, ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲕᲐᲠᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲨᲘ.	1	70
ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲔᲑᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲔᲜ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ,	1	50
ᲙᲕᲘᲠᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ, ᲓᲘᲚᲘᲡ 8—10 ᲛᲓᲘᲜ.	1	40
ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡ: ᲛᲘᲜ. ᲙᲕᲘᲠᲘ—ᲮᲘᲠᲣᲠᲒ.	7	50
ᲚᲘᲡᲘᲪᲔᲕᲘ—ᲨᲘᲜᲐᲒ. ᲐᲕᲐᲗᲛᲧ.	8	05
ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲡ: ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲕᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲥᲐᲠᲝᲕᲐ— ᲨᲘᲜᲐᲒ. ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲡ,	10	—
ᲗᲐᲛᲐᲛᲨᲕᲘᲐ—ᲗᲕᲐᲚᲘᲡ.	4	50
ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲡ: ᲚᲘᲡᲘᲪᲔᲕᲘ—ᲨᲘᲜᲐᲒᲜᲘ ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤ., ᲛᲘᲣᲩᲐᲠᲘᲐᲜᲪᲘ—ᲕᲔᲜᲔᲠᲘᲣᲚᲘᲡ.	2	—
ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲡ: ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲕᲘᲐ—ᲨᲘᲜᲐᲒᲜᲘ ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.	6	50
ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲡ: ᲚᲘᲡᲘᲪᲔᲕᲘ ᲓᲐ ᲐᲡᲐᲢᲣᲠᲝᲕᲘ—ᲨᲘᲜᲐᲒ. ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤ. ᲓᲐ ᲛᲘᲜ.	8	—
ᲙᲕᲘᲩᲘ—ᲮᲘᲠᲣᲠᲒ.	12	80
ᲨᲐᲑᲐᲗᲡ: ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲕᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲥᲐᲠᲝᲕᲘ—ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲡ., ᲛᲘᲣᲩᲐᲠᲘᲐᲜᲪᲘ—ᲧᲣᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲮᲘᲠᲣᲠᲒᲘᲣᲚ ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤ. ᲓᲐ ᲗᲐᲛᲐᲛᲨᲕᲘᲐ—ᲗᲕᲐᲚᲘᲡ.	1	8
	1	8
	5	20
	8	—
	6	05
	—	70
	12	—
	7	95

Дозволено цензурою. Тифлисъ, 27 Марта 1878 г. Типографія Меликова. ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ Ს. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ Ს ᲛᲔᲡᲮᲘ.